სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 112

20 21 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს N179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, „ე" ქვეპუნქტის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" - სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „ჟ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N795819, 16.08.2021) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები ამ ბრძანების დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების ამ ბრძანების დანართი N 3-ის შესაბამისად.

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2021 წლის 23 აგვისტოს 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2021 წლის 31 აგვისტოსი.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

<u>დანართი 1</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 16 აგვისტოს №112 ბრძანებით

2021 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის რანჟირებული სია				
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-I-21-593	შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიული რეპრეზენტაცია (პატარა ლიახვის ხეობა)	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივესიტეტი	15
2	OTG-I-21-428	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები საერთაშორისო სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ ჭრილში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
3	OTG-I-21-581	სამურზაყანო – ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია. წარსული და თანამედროვეობა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14
4	OTG-I-21-273	ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა	სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი	14
5	OTG-I-21-329	ოკუპირებული ტერიტორიების ციფრული ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკაში - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	13
6	OTG-I-21-566	ოკუპირებული ტერიტორიების ხელნაწერი მემკვიდრეობა – ორენოვანი ინტეგრირებული გამოცემა და გამოფენა (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციების ბაზაზე)	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	12
7	OTG-I-21-864	აფხაზური და ოსური ენები მეოცე საუკუნის საქართველოში	გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება	12
8	OTG-I-21-529	დევნილობის ტრავმა და ორაზროვანი დანაკარგი: კოგნიტური და ემოციური სტრატეგიების როლი ადაპტურ ფუნქციონირებაში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
9	OTG-I-21-129	ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინტეგრაციის პერსპექტივები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12

10	OTG-I-21-353	შიდა ქართლისა და ქსნის ხეობის საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი ტერიტორიის გეოგრაფიული, ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური სურათის შესწავლა, 1728 წლის აღწერის დოკუმენტის მიხედვით: რეტროსპექტული რუკათშედგენა და გის-ანალიზი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
11	OTG-I-21-138	აფხაზეთის ალპურამდელი კრისტალური სუბსტრატის რეგიონული მეტამორფიზმი და მაგმატიზმი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	12
12	OTG-I-21-187	აფხაზეთის ომის ქართული გამოცდილების ნარატივიზება (ლიტერატურული და ზეპირი ტექსტების მიხედვით)	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	10
13	OTG-I-21-210	კონფლიქტის ფასი	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	10
14	OTG-I-21-285	CYP2C9 და VKORC1 გენების პოლიმორფიზმის განსაზღვრა აფხაზური პოპულაციის ჯანმრთელ და თრომბოზით დაავადებულ ინდივიდებში, ვარფარინის დოზის რეგულირების მიზნით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	10
15	OTG-I-21-205	აფხაზეთი ქართულ წერილობით წყაროებში (ბიბლიოგრაფიული კრებული) კ. კეკელიძის სახ.საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის მიხედვით.	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	10
16	OTG-I-21-137	ციფრული უთანასწორობა და თანამედროვე აფხაზეთი	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9
17	OTG-I-21-1104	ცხინვალის რეგიონი (შიდა ქართლის მთიანეთი) - კვლევა რამდენიმე ასპექტით	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	9
18	OTG-I-21-978	აფხაზეთის მოსახლეობა და ეროვნული იდენტობა თანამედროვე საქართველოში	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	9
19	OTG-I-21-472	აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	9
20	OTG-I-21-549	აფხაზეთი საქართველოა (ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი)	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9

21	OTG-I-21-735	ხელნაწერი მემკვიდრეობა აფხაზეთის ისტორიის კვლევისათვის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების მიხედვით)	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	9
22	OTG-I-21-429	"ქართულ-აფხაზური დაპირისპირების წინაპირობები და ურთიერთობის პერსპექტივა"	ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი	9
23	OTG-I-21-264	„ოსთა გენოციდის“ საკითხი: მითი და რეალობა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9
24	OTG-I-21-122	გაგრის რაიონის ისტორიის ქრონიკები	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	9
25	OTG-I-21-167	ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9
26	OTG-I-21-075	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სასმელი წყლის ხარისხის კვლევა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9

<u>დანართი 2</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 16 აგვისროს №112 ბრძანებით

2021 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (კონფერენციებისათვის)				
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-II-21-197	მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები" ეძღვნება იოანე იალღუზიძეს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	40
2	OTG-II-21-129	ტერიტორიული კონფლიქტები პოსტ-საბჭოთა სივრცეში - აქტუალური status quo და რეგულირების პერსპექტივები	ააიპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	37
3	OTG-II-21-069	დიალოგის უალტერნატივობა საქართველოს ტეროტორიების დეოკუპაციის გზაზე	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	35

2021 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (სეზონური სკოლებისათვის)				
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია	ქულების ჯამი
1	OTG-II-21-080	მეორე საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	44

<u>დანართი 3</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 16 აგვისტოს №112 ბრძანებით

2021 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის გამარჯვებული პროექტები			
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	OTG-I-21-593	შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიების ისტორიული რეპრეზენტაცია (პატარა ლიახვის ხეობა)	სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივესიტეტი
2	OTG-I-21-428	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები საერთაშორისო სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ ჭრილში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	OTG-I-21-581	სამურზაყანო – ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია. წარსული და თანამედროვეობა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	OTG-I-21-273	ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა	სსიპ ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი

2021 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის გამარჯვებული პროექტები			
N	შიფრი	პროექტის სათაური	წამყვანი ორგანიზაცია
1	OTG-II-21-080	მეორე საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“	კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
2	OTG-II-21-197	მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები" ეძღვნება იოანე იალღუზიძეს	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი